სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

03 აპრილი, 2026 წ.

ბრძანება № 01-10/41

ბსუ-ს აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტში სტაჟიორთა შერჩევის მიზნით საკონკურსო კომისიის დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 23-ე და 24-ე მუხლების, ბსუ-ს წესდების მე-15 მუხლის, ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტაჟირების გავლის წესის დამტკიცების თაობაზე" ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2013 წლის 29 მარტის №2 გადაწყვეტილების, „ბსუ-ს აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტში სტაჟიორთა შესარჩევი კონკურსის გამოცხადების შესახებ" ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2026 წლის 18 მარტის №01-10/31 ბრძანებისა და „ბსუ-ს აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტის დირექტორის 2026 წლის 31 მარტის №383729 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2026 წლის 18 მარტის №01-10/31 ბრძანებით გამოცხადებული კონკურსის საფუძველზე ბსუ-ს აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტში სტაჟიორთა შერჩევის მიზნით დამტკიცდეს **საკონკურსო კომისია** შემდეგი შემადგენლობით:
   ა) **ნინო მხეიძე** - აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტის დირექტორი, კომისიის თავმჯდომარე.
   ბ) **ნინო კიკნაძე** - აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტის აგრარული და კვების პროდუქტების ტექნოლოგიების განყოფილების მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, კომისიის მდივანი;
   გ) **ნუნუ კუტალაძე** - აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტის აგრარული და კვების პროდუქტების ტექნოლოგიების განყოფილების უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, კომისიის წევრი;
   დ) **რაულ გოცირიძე** - აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტის მემბრანული ტექნოლოგიების განყოფილების უფროსი (მთავარი მეცნიერი თანამშრომელი საკვალიფიკაციო მონაცემებით);
   ე) **მერაბ არძენაძე** - აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტის ქიმიური ანალიზისა და სურსათის უსაფრთხოების განყოფილების მთავარი მეცნიერი თანამშრომელი;
   ვ) **ზურაბ მიქელაძე** - აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტის აგრარული და კვების პროდუქტების ტექნოლოგიების განყოფილების უფროსი (მთავარი მეცნიერი თანამშრომელის საკვალიფიკაციო მონაცემებით);
   ზ) **დარეჯან ბარაბაძე** - ბსუ-ს ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის მთავარი სპეციალისტი.
2. საკონკურსო კომისიამ უზრუნველყოს კონკურსის მონაწილეთა ინფორმირება გასაუბრების თარიღის, დროისა და ადგილის შესახებ, კონკურსანტების მიერ მითითებული საკონტაქტო ინფორმაციის მეშვეობით.
3. წინამდებარე ბრძანება განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე (კონკურსების ველში).

4. ბრძანება გასაცნობად და აღსასრულებლად დაეგზავნოს ბსუ-ს აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტს, ადამიანური რესურსების მართვის სამსახურს, იურიდიულ დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს.
5. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30).

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი მერაბ დიასამიძე